სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 50

2015 წლის 08 აპრილი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2014 წელს გამოცხადებული უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული საპროექტო განაცხადების საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტებისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადების დადგენის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის“ შედეგად დაფინანდებულმა პროექტების წარმდგენებმა საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) 2015 წლის 14 აპრილიდან 16 აპრილის 18:00 სთ ჩათვლით უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მკვლევართა ჯგუფის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები;

ბ) საბაზო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე საბაზო ორგანიზაციის ხაზინის ერთიანი ანგარიშზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით მათთვის განსაზღვრული სახაზინო კოდი;

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 17 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ფონდის სპეციალისტს თეა მჟავანაძეს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი